საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-02/149

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი, 2021 წ.

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის", ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №06-01/80 დადგენილების, ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს №01-02/140 ბრძანების, ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანების (ცვლილება №01-02/147, 06.09.2021წ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში** აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) შესაძლებელია განხორციელდეს **3 (სამ) ეტაპად**, შემდეგნაირად:

ა) I ეტაპზე - 2021 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით გადახდილი იქნეს სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%;**
ბ) II ეტაპზე – 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით გადახდილი იქნეს სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**
გ) III ეტაპზე – 2021 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით გადახდილი უნდა იქნეს სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

2. ბსუ-ში 2021 წლის შემოდგომაზე აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **პირველსემესტრელი** სტუდენტების მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა **(ადმინისტრაციული** რეგისტრაცია) შესაძლებელია განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად, შემდეგნაირად:

ა) I **ეტაპზე** - არაუგვიანეს 2021 წლის 17 სექტემბრისა, **აბიტურიენტთა** ბსუ-ში ჩარიცხვის მიზნით რეგისტრაციისას, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე: **არანაკლებ 800 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით სწავლის უფლება; არანაკლებ 340 ლარისა - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს 50%-იანი სასწავლო გრანტი; არანაკლებ 200 ლარისა - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს 70%-იანი სასწავლო გრანტი);

ბ) I **ეტაპზე** - არანაკლებ 800 ლარისა, 2021 წლის 23-27 სექტემბერს, **მაგისტრანტობის კანდიდატთან** ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

გ) I **ეტაპზე** - არანაკლებ 1000 ლარისა, 2021 წლის 17-27 სექტემბერს, **დოქტორანტობის კანდიდატთან** ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

დ) II **ეტაპზე** (2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით) და III **ეტაპზე** (2021 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით) აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **პირველსემესტრელი** სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფაროს **თანაბარწილადი შენატანით.**

3. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - **სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;** ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის **საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს:** სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლის წელი (კურსი).
4. გადახდილი სწავლის საფასურის (კრედიტების საფასურის) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად ასახვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**